ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №925055

ნომერი: AR1165548

თარიღი : 30.09.2013

გაცემის თარიღი : 01.10.2013

გაცნობის თარიღი : 08.10.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ. აბაშიძე , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ შაველაშვილი პ/ნ 01901124594
- თბილისი ვ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, სამსახურის მიერ, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:
1. ფოტომონტაჟზე არ არის აღნიშნული ტროტუარის მთლიანი სიგანე, მათ შორის, დარჩენილი გასასვლელის სიგანე საპროექტო კიბიდან კიდემდე ;
განმარტება: არსებული კანონმდებლობით, ტროტუარის დარჩენილი გასასვლელის სიგანე საპროექტო კიბიდან კიდემდე უნდა იყოს მინიმუმ 1,8 მ. (გასაწყვეტილება #4–13, 27.03.2009წ. მუხ.38).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 15 დღის ვადაში დაგევალოთ ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, რის შემდეგაც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს მოთხოვნაზე. დადგენილ ვადაში მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.